საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2009 2015 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ნორმატიული ღირებულებით - 57 486 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაექვსი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ (ს/კ: №400023728).

2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღეში;

გ) ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის 2012 წლის 23 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, „კინტრიში ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

№	ქონების ადგილმდებარეობა	საკადასტრო კოდი	ქონების დახასიათება
1	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.03.017	169 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
2	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.03.019	203 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
3	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.03.020	436 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
4	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.03.021	3954 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
5	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.04.036	326 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
6	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.04.039	3339 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
7	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.04.040	52 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
8	ქობულეთი, მდინარე კინტრიშის ხეობა	20.41.04.018	459 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
9	ქობულეთი, მდინარე კინტრიშის ხეობა	20.41.04.035	245 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი

სულ: 9 183 კვ.მ